

**თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო**  
**ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის**  
**ოქმი #82**

ქ. თბილისი

2021 წელი, 16 თებერვალი, 11:00 საათი

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:**

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, ვახტანგ შაქარიშვილი, დავით უთმელიძე, ჯაბა ჯიშკარიანი, თევდორე ისაკაძე, დავით ჭელიძე

**სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი:** გიორგი გაბაშვილი, ნიკოლოზ ვაჩეიშვილი

**სხდომის თავმჯდომარე:** რევაზ სოხაძე

**სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:**

ოთარ ჩიტძე - ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე

ნინო ბაგაშვილი - ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე

გიგა გიგაშვილი - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი

№	ს ა კ ი თ ხ ი ს   დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა
1.	„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032104393-03 12.02.2021; 12-032104663-03 – 15.02.2021)
2.	„ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N01.14.06.003.035) და მიმდებარე ტერიტორიაზე სპორტულ-საგანმანათლებლო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №11-032104635-03 - 15.02.2021)

3.	ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი N194-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.06.011.003) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032104636-03 - 15.02.2021)
4.	ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის ქ. N72, N74-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.015.057; N01.18.06.015.153) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 აპრილის N85 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032104696-03 - 15.02.2021)
5.	„ქ. თბილისში, გლდანის საცხოვრებელ რაიონში, საზოგადოებრივი ცენტრის ტერიტორიაზე V და VI მიკრო რაიონებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.10.007.001), მრავალფუნქციური კომპლექსის (სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, ავტოჰაუსი, სასტუმრო, რესტორანი) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 12 ივნისის №1205 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032103575-03 04.02.2021)

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ დღის წესრიგი დაამტკიცა.

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032104393-03 12.02.2021; 12-032104663-03 – 15.02.2021)

კომისიამ განიხილა ქალაქ თბილისის მერის წერილებით (საკრებულოს №12-032104393-03 12.02.2021; 12-032104663-03 – 15.02.2021) წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ -

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ნინო ბაგაშვილმა. წარმოდგენილი წერილებით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილში-რუკასა (ა პუნქტით დამტკიცებული) მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ხასიათის ფუნქციური ზონის ცვლილების 14 წინადადება, კერძოდ:

№12-032104393-03 12.02.2021;

ა) ქალაქ თბილისში, სპირიდონ ვირსალაძის ქუჩა N2-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.18.13.037.018) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ცვლილება საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) და საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა. ვინაიდან, N01.18.13.037.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ძირითადი ნაწილი მოქცეულია საავტომობილო გზების მოდერნიზაციის დროებითი შეზღუდვის ზოლში (ფონიჭალამარნეული-გუგუთი), განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნა პოზიციის დასაფიქსირებლად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ, გადაეგზავნა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში შემავალ საავტომობილო გზების დეპარტამენტს. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის N06-0121018119-16 წერილის შესაბამისად (2020 წლის 14 აპრილის N2-07/4401 წერილით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს პასუხის გაცემის თაობაზე), აღნიშნული დეპარტამენტის რეკომენდაციაა, მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N01.18.13.037.018) რაიმე სახის ნებართვის გაცემის საკითხის განილვისას, გათვალისწინებულ იქნეს საერთაშორისო მნიშვნელობის ფონიჭალა - მარნეული - გუგუთის (სომხეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ0 - კმ3+700 მონაკვეთის მარცხენა მხარის მიმდებარედ განაშენება (სადაც მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები და სხვა გზისპირა ინფრასტრუქტურული ობიექტები განთავსებულია საავტომობილო გზის ასფალტობეტონის საფარის კიდედან დაახლოებით 25 მეტრის დაშორებით) და მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N01.18.13.037.018) სამშენებლო სამუშაოების წარმოების შესაძლებლობის საკითხი განხილულ იქნას საავტომობილო გზის ასფალტობეტონის საფარის კიდედან 25 მეტრს მიღმა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2021 წლის 1 თებერვლის N18-01210322854 წერილით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ამასთანავე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენა. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით

დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, N01.18.13.037.018 საკადასტრო ერთეულზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სპირიდონ ვირსალაძის ქუჩა N2-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.18.13.037.018) ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ცვლილება საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) და საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა მისაღებია მშენებლობის საავტომობილო გზის ასფალტობეტონის საფარის კიდედან 25 მეტრს მიღმა განხორციელების პირობით;

ბ) ქალაქ თბილისში, დიდმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.006.500) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2021 წლის 25 იანვრის N18-01210252872 წერილით, თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება. მიმდებარე განაშენიანების ერთიანი სახით განვითარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება N01.72.14.006.500 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე ძირითადი რუკით გავრცელებული სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონისა და არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენების მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2021 წლის 3 თებერვლის N18-01210342934 წერილით, თანახმაა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ, დანართის სახით წარმოდგენილ ტერიტორიებზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონისა და არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენების მოხსნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დიდმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.006.500) და მიმდებარე ტერიტორიაზე ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონისა და არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენების მოხსნა მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილი N18-22-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.12.007.116) მოთხოვნილია ძირითადი რუკით

განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2021 წლის 11 იანვრის N18-0121011104 წერილით, თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, N01.18.12.007.116 საკადასტრო ერთეულსა და მიმდებარე ტერიტორიაზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა (სზ). შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე საკადასტრო ერთეულები ზემოაღნიშნული ფუნქციით არის განვითარებული. ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვის, მიმდებარე განაშენიანების ერთიანი სახით განვითარებისა და ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, N01.18.12.007.116 საკადასტრო ერთეულის მიმდებარე ტერიტორიაზე ხორციელდება ძირითადი რუკით გავრცელებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2021 წლის 4 თებერვლის N18-01210352318 წერილით, თანახმაა წარმოდგენილი არეალის ფარგლებში განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილი N18-22-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.12.007.116) და მიმდებარე ტერიტორიაზე ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა მისაღებია;

დ) ქალაქ თბილისში, სოფელ წაგვისში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.31.035 და მიმდებარე ტერიტორია) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონის (რზ) სასოფლო-სამეურნეო ზონით (სოფზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული სარეკრეაციო ზონის (რზ) ფენის მოხსნა. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით,

საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდებოდა სასოფლო-სამეურნეო ზონა (სოფზ). მოთხოვნილი ცვლილების მიზანს წარმოადგენს ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვა და მიმდებარე განაშენიანების ერთიანი სახით განვითარება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2021 წლის 4 თებერვლის N18-01210352360 წერილით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონის (რზ) ფენა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ წაგვისში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.31.035 და მიმდებარე ტერიტორია) ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონის (რზ) სასოფლო-სამეურნეო ზონით (სოფზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული სარეკრეაციო ზონის (რზ) ფენის მოხსნა მისაღებია;

ე) ქალაქ თბილისში, დიდ ლილოში, ვარკეთილის მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.08.25.270 და მიმდებარე ტერიტორია) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენის მოხსნა. მოთხოვნილი ცვლილების მიზანს წარმოადგენს მიმდებარე განაშენიანების ერთიანი სახით განვითარება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2021 წლის 4 თებერვლის N18-01210352357 წერილით, თანახმაა წარმოდგენილ ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დიდ ლილოში, ვარკეთილის მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.08.25.270 და მიმდებარე ტერიტორია) ძირითადი რუკით განსაზღვრული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ლანდშაფტურ სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენის მოხსნა მისაღებია;

ვ) ქალაქ თბილისში, გლდანის VIII მ/რ, კორპუსი 15-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთების ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.11.10.001.399, 01.11.10.001.334, 01.11.10.001.396 და მიმდებარედ) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2021 წლის 4 თებერვლის N01210352328 წერილის მიხედვით, სამსახური თანახმაა, წარმოდგენილ საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენა. საპროექტო არეალი ფაქტობრივი მდგომარეობით არ წარმოადგენს გამწვანებულ

ტერიტორიას. განაშენიანებულია მაღალი ინტენსივობით, სადაც დომინირებულ სახეობას შეადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები. აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გლდანის VIII მ/რ, კორპუსი 15-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთების ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.11.10.001.399, 01.11.10.001.334, 01.11.10.001.396 და მიმდებარედ) ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა მისაღებია;

ზ) ქალაქ თბილისში, სანდრო ეულის ქუჩა N7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.05.007.274) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, N01.14.05.007.274 საკადასტრო ერთეულზე ვრცელდებოდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1). „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ გავრცელებულია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1), ამდენად, ფუნქციური ზონის მოთხოვნილი სახით ცვლილება არ გამოიწვევს ზონის არეალის ფრაგმენტაციას და მიმდებარე განაშენიანების ერთიანი სტრუქტურის რღვევას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სანდრო ეულის ქუჩა N7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.05.007.274) საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება მისაღებია;

თ) ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში, არსებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N 01.72.14.097.020) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 2 დეკემბრის N0121033280 წერილის მიხედვით, აღნიშნულ ტერიტორიას გააჩნია განვითარების სივრცითი რესურსი. შესაბამისად, სამომავლოდ მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარების პროცესში მიმდებარე ტერიტორიის შესაბამისი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფისათვის, ფუნქციური ზონის ცვლილება მიზანშეწონილია ისე, რომ ცვლილების შემდეგ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) დარჩენილი უმოკლესი მონაკვეთის სიგანე იყოს 8.5 მეტრი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში არსებულ მიწის ნაკვეთის

ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.097.020) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება მისაღებია (ცვლილების ფართობი: 20 კვ.მ);

ი) ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, იუნკერთა I შესახვევში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.01.06.427; N81.01.06.428; N81.01.06.368; N81.01.06.897) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო 2020 წლის 5 აგვისტოს N01202183412 წერილის მიხედვით, ითვალისწინებს რა აღნიშნულ ტერიტორიაზე სამომავლო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების მნიშვნელობას, მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილებას მიზანშეწონილად მიიჩნევს იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივად არსებულ გზაზე მოხდება სატრანსპორტო ზონის (ტზ-1) გავრცელება მისი სიგრძის, სიგანისა და ფართობის ცვლილების გარეშე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ტერიტორიაზე არსებული ფაქტობრივ გზა (იუნკერთა პირველი შესახვევი) დაფიქსირდა შესაბამისი ფუნქციური ზონა - სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1). ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვის მიზნით ხორციელდება საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ხოლო სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით ცვლილება, რაც შეეხება ცვლილების შედეგად დარჩენილ ხარვეზს გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ) იცვლება მომიჯნავედ მდებარე სატყეო ზონით მცირე ნაწილზე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, იუნკერთა I შესახვევში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.01.06.427; N81.01.06.428; N81.01.06.368; N81.01.06.897) და მიმდებარედ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1), საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სატყეო ზონით ცვლილება მისაღებია;

კ) ქალაქ თბილისში, აბაშელის ქ.N21-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი:N01.14.11.057.093) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო 2020 წლის 31 დეკემბრის N01203661346 წერილის მიხედვით, ვინაიდან, გავრცელებული სატრანსპორტო ზონა (ტზ-1) არ წარმოადგენს მიმდებარედ რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებთან მისასვლელ ერთადერთ გზას, ფუნქციური ზონის ცვლილების წინააღმდეგი არ არის. დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში არსებული ხარვეზის გასწორების მიზნით, ცვლილებას ექვემდებარება N01.14.11.053.110 საკადასტრო ერთეულის მცირე ნაწილზე დარჩენილი სატრანსპორტო ზონა 1-იც (ტზ-1). სხდომაზე გამოითქვა მოსაზრება მასზე, რომ მითითებული ზონის ცვლილება ტერიტორიულსივრცითი მოწყობის გათვალისწინებით გადადებულ იქნეს.



ლ) ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე N154-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.17.11.027.017) მოთხოვნილია სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება. N01.17.11.027.017 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის/რუკის მიხედვით ვრცელდებოდა საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 1 (სსზ-1), ხოლო „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის/რუკის მიხედვით მიწის ნაკვეთის დიდ ნაწილზე გავრცელდა სპეციალური ზონა 1 (სპეც-1) ხოლო მცირე ნაწილზე საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 1 (სსზ-1). მიმდებარე ტერიტორია ხასიათდება მაღალი ინტენსივობის განაშენიანებით. ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.11.027.017) განვითარება არ იგეგმება მასზე გავრცელებული ფუნქციური ზონის შესაბამისად. მოთხოვნილი სახით ცვლილების შედეგად რუკაზე წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით ასევე განხორციელდა მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სპეციალური ზონა 1-ის (სპეც-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით ცვლილება. წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე N154-ში მდებარე მიწის ნაკვეთების ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.17.11.027.017, 01.17.11.027.073, 01.17.11.027.020, 01.17.11.027.101) და მიმდებარე ტერიტორიაზე სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) და საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება მისაღებია.

№12-032104663-03 – 15.02.2021

ა) ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლებაში, IV მ/რ-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.37.005.001; N01.19.37.012.026, N01.19.37.004.001) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ხეხილსანერგე მეურნეობაში, ვარკეთილი 3-ის დასახლება, IV მიკრორაიონის მიმდებარედ, ვარკეთილსა და თბილისის ზღვას შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: NN81.21.03.030, 01.19.36.014.452, 81.21.03.024, 01.19.36.014.449, 81.21.03.027, 81.21.03.025, 81.21.03.029, 01.19.36.014.453, 01.19.36.014.454, 01.19.36.014.455, 01.19.36.014.456, 01.19.36.014.457, 01.19.36.014.525, 01.19.36.014.526, 81.21.03.031) საცხოვრებელი რაიონის (საცხოვრებელი უბნები, საზოგადოებრივ-საქმიანი ცენტრები, სავაჭრო და სარეკრეაციო ცენტრები, მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტები) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2013

წლის 9 ოქტომბრის N2151 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N32 განაკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებსა და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლებაში, IV მ/რ-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.37.005.001; N01.19.37.012.026, N01.19.37.004.001) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლებაში, IV მ/რ-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.37.012.019; N01.19.37.012.017; N01.19.37.012.021; N01.19.37.012.011; N01.19.37.012.009) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ხეხილსანერგე მეურნეობაში, ვარკეთილი 3-ის დასახლება, IV მიკრორაიონის მიმდებარედ, ვარკეთილსა და თბილისის ზღვას შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: NN81.21.03.030, 01.19.36.014.452, 81.21.03.024, 01.19.36.014.449, 81.21.03.027, 81.21.03.025, 81.21.03.029, 01.19.36.014.453, 01.19.36.014.454, 01.19.36.014.455, 01.19.36.014.456, 01.19.36.014.457, 01.19.36.014.525, 01.19.36.014.526, 81.21.03.031) საცხოვრებელი რაიონის (საცხოვრებელი უბნები, საზოგადოებრივ-საქმიანი ცენტრები, სავაჭრო და სარეკრეაციო ცენტრები, მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტები) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 9 ოქტომბრის N2151 განაკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N31 განაკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებსა და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლებაში, IV მ/რ-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.37.012.019; N01.19.37.012.017; N01.19.37.012.021; N01.19.37.012.011; N01.19.37.012.009) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ა. წერეთლის გამზირზე, სოხუმის, ევდოშვილისა და ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩებს შორის არსებულ კვარტალში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.06.015.003; N01.13.06.015.005; N01.13.06.015.002; N01.13.06.015.014; N01.13.06.015.001; N01.13.06.015.010; N01.13.06.015.012) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე, „ქალაქ თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ა. წერეთლის გამზირზე, სოხუმის, ევდოშვილისა და ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩებს შორის არსებულ კვარტალში

მრავალფუნქციური საზოგადოებრივი კომპლექსის დასაგეგმარებლად“ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 9 დეკემბრის N01/1863 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N33 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. აღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ა. წერეთლის გამზირზე, სოხუმის, ევდოშვილისა და ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩებს შორის არსებულ კვარტალში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.06.015.003; N01.13.06.015.005; N01.13.06.015.002; N01.13.06.015.014; N01.13.06.015.001; N01.13.06.015.010; N01.13.06.015.012) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის 14 წინადადება და „თბილისის ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების რუკაში შესატანი ცვლილებები გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

2. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N01.14.06.003.035) და მიმდებარე ტერიტორიაზე სპორტულ-საგანმანათლებლო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №11-032104635-03 - 15.02.2021)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ნაფეტვრებისკენ მიმავალი გზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N01.14.06.003.035) და მიმდებარე ტერიტორიაზე. საპროექტო არეალის საერთო ფართი შეადგენს 24 205 კვ.მ.-ს. აქედან კერძო საკუთრებაშია: 9 695 კვ.მ. საპროექტო არეალში დამატებით შეყვანილია სარეკრეაციო ზონა 3-სა (რზ-3) და სატრანსპორტო ზონა 1-ს (ტზ-1) შორის არსებული ტერიტორია. ასევე, აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით არსებული სატყეო ზონის ნაწილი. საპროექტო და მიმდებარე ტერიტორია გაუნაშენიანებელია, რომელსაც გააჩნია ერთადერთი სატრანსპორტო მისასვლელი გზა უნივერსიტეტის ქუჩიდან. დღეის მდგომარეობით, აღნიშნულ ტერიტორიასთან საფეხმავლო ინფრასტრუქტურა განუვითარებელია. 600 მეტრის რადიუსში ხელმისაწვდომია საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ხოლო მეტრო „სახელმწიფო უნივერსიტეტი“ დაახლოებით 1 კმ. საფეხმავლო დისტანციაზე მდებარეობს. საპროექტო ტერიტორიის გასხვისება განხორციელდა ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მიერ, აუქციონის შედეგად (საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა N25492, დამოწმების თარიღი: 17.11.2017წ). მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება განისაზღვრა განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში სპორტულ-საგანმანათლებლო კომპლექსის მშენებლობის პირობით. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3), სატყეო ზონა და მცირედ ნაწილზე სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1). ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებულია სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) და სატყეო ზონა. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, N01.14.06.003.035 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთსა და მიმდებარე ტერიტორიაზე (საერთო ფართობი: 24 205 კვ.მ.) სასწავლო-სპორტული კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის N150 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. წარმოდგენილი წინადადებით, არსებული სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) უცვლელი რჩება. იცვლება კერძო საკუთრებაში არსებული საკადასტრო ერთეულის კონფიგურაცია ფართის უცვლელად და დაკორექტირებულ არეებში ხდება ფუნქციონალური გადასაცვლება. აღნიშნულ საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს დაფიქსირებული აქვს დადებითი პოზიცია (QN1604355; 12.06.2018). აღმოსავლეთა და დასავლეთით საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელდება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). საპროექტო ფუნქციური ზონირება: სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3): კ-1---0,3; კ-2---1,0; კ-3---0,5 სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1): კ-1--- კ-2--- კ-3-0,1 სატყეო ზონა საპროექტო სართულიანობა: ქვაბულის ტერიტორიაზე დაგეგმილია 4-5 სართულიანი ნაგებობის განთავსება, სადაც გადნაწილდება ადმინისტრაცია და სასწავლო აკადემია. საგზაო ინფრასტრუქტურა: დღეის მდგომარეობით ტერიტორია წვდომა ხდება გ. დანელიას ქუჩიდან. საინჟინრო-გეოლოგიური თვალსაზრისით, საკვლევ ტერიტორია მიეკუთვნება III კატეგორიას (რთულს). საკვლევ ტერიტორიაზე არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები (მეწყერი, ჩაჯდომადი გრუნტები და სხვა) არ აღინიშნება. საპროექტო გადაწყვეტით, შენობათა განთავსება მოხდება წარმოდგენილი გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 31 დეკემბრის N0120366520 (N01201952977) წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური თანახმაა N01.14.06.003.035 საკადასტრო ერთეულზე დამტკიცდეს სპორტულ საგანმანათლებლო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 9 თებერვლის N01210403585 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და

ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია რჩება უცვლელი, იგი არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N01.14.06.003.035) და მიმდებარე ტერიტორიაზე სპორტულ-საგანმანათლებლო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების საკითხი (საქმე №11-032104635-03 15.02.2021წ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე [www.ms.gov.ge](http://www.ms.gov.ge) რეგისტრირებული განაცხადი N01203172307-67 (N01203643200-67; N01210323416-67; N01210342917-67)) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

3. ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი N194-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.06.011.003) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032104636-03 - 15.02.2021)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტაძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს დიდ დილოში, ქალაქის ჩრდილო დასავლეთ ნაწილში. საპროექტო ტერიტორია ხასიათდება სწორი რელიეფით, ნაკვეთის ფართობი (საკადასტრო კოდი: N01.10.06.011.003) შეადგენს: 17 000 კვ.მ.-ს. ტერიტორიის მიმდებარედ არის მაღალი გამტარუნარიანობის ქუჩათა ქსელი: აღმოსავლეთით - დავით აღმაშენებლის ხეივანი, ხოლო დასავლეთით - ფარნავაზ მეფის გამზირი. მიწის ნაკვეთს ესაზღვრება როგორც სახელმწიფო საკუთრებაში, ასევე კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები. ხოლო აღმოსავლეთით მცირე ზომის ქუჩა, რომელიც საპროექტო ტერიტორიას აკავშირებს დავით აღმაშენებლის ხეივანთან. ნაკვეთის მიმდებარე, საკვლევი ტერიტორია, კარგადაა განვითარებული, როგორც ინფრასტრუქტურის, აგრეთვე ტექნიკური/საინჟინრო მიმართულებების თვალსაზრისით. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2). „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი N194-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.06.011.003) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 8 დეკემბრის N373 განაკრგულებით საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. საპროექტო ნაკვეთზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), რომელიც რჩება უცვლელი, იცვლება

მხოლოდ ზონის შესაბამის პროცენტული გადანაწილება 75% - საცხოვრებელი ხოლო 25% საზოგადოებრივ-საქმიანი ფუნქცია. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად, დაგეგმილია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. საპროექტო არეალის ფარგლებში განთავსდება ორი შენობა სეისმური ნაკერით გამოყოფილი, დიდი ნაწილი დაეთმობა ღია საზოგადოებრივი სივრცეებს და საპროექტო არეალის ნაწილში მოხდება სატრანსპორტო ზონის გავრცელება შიდა საუბნო გზებისათვის, აღნიშნული ნაწილი იტვირთება სერვიტუტითაც. წარმოდგენილია შენობების განთავსების ახალი კონფიგურაცია, გათვალისწინებულია არეალი გამწვანებული სივრცეებისათვის და ფეხმავალთათვის. ავტოსადგომების დიდი ნაწილი (315 ავტოსადგომი) ჩატანილია მიწისქვეშა დახურულ ავტოსადგომებზე. ასევე, არასაცხოვრებელი ფუნქციის მქონე სივრცეების განთავსდება დაგეგმილია შენობების საწყის სართულებზე. ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები: საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი: 17 000 კვ.მ საპროექტო ფუნქციური ზონირება - სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1); საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2); სართულიანობა : დას. მდგომი შენობა-ნაგებ. 23-25 (სართ.) აღმ. მდგომი შენობა-ნაგებ. 30-32 (სართ.) საპროექტო ფუნქციური ზონები და პარამეტრები: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) (ფართობი: 15 193 კვ.მ) კ1- 0.5 ( 8 500 კვ.მ) კ2 – 4.6 (78 950 კვ.მ) კ3 – 0.2 ( 3 400 კვ.მ) სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) (ფართობი: 1 807 კვ.მ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 9 თებერვლის N01210403427 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა N01.10.06.011.003 საკადასტრო ერთეულზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 10 თებერვლის N0121041298 (N01203601689) წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ შეითანხმა აღნიშნული განაშენიანებისათვის საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა. შესაბამისად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი არ არის.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი N194-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.06.011.003) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების საკითხი (საქმე №12-032104636-03 15.02.2021წ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე [www.ms.gov.ge](http://www.ms.gov.ge) რეგისტრირებული განაცხადი N01203522244-67 (N01203652855-67; N01210213602-67; N01210342916-67; N01210393890-67)) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

4. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის ქ. N72, N74-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.015.057; N01.18.06.015.153) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 აპრილის N85 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032104696-03 - 15.02.2021)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტაძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, კრწანისის ქუჩა N72-ის მიმდებარედ. (საკადასტრო კოდები: N01.18.06.015.176; N01.18.06.015.175; N01.18.06.015.177; N01.18.06.015.173; N01.18.06.015.174; N01.18.06.015.171; N01.18.06.015.170; N01.18.06.015.169; N01.18.06.015.168; 01.18.06.015.167; N01.18.06.015.172; N01.18.06.015.057). სრული არეალის ფართობი: 5085 კვ.მ. განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის კორექტირება ეხება მხოლოდ I სექტორის F ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: N01.18.06.015.176), რომლის ჯამური ფართობია: 400 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2). „ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის ქ. N72, N74-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.015.057; N01.18.06.015.153) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 აპრილის N85 განკარგულებით დადგენილებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომლის მიხედვითაც საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილი იყო 10 ორსართულიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსება. აღნიშნულის შემდგომ, „ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის ქ. N72, N74-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.015.057; N01.18.06.015.153) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 აპრილის N85 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 8 დეკემბრის N390 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი. კორექტირება კი შეეხო II სექტორს (საკადასტრო კოდი: N01.18.06.015.057), სადაც ორი ინდივიდუალური საცხოვრებლის ნაცვლად დაიგეგმა სამი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსება, საცხოვრებელი ზონა 2-ისა (სზ-2) და

დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების უცვლელად. ფუნქციური ზონირება და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით მთლიანი არეალისთვის ჯამურად: საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2); ფუნქცია: საცხოვრებელი. სზ-2 - 5 085 კვ.მ. კ-1= 0,3 - 1464 კვ.მ. კ-2= 0,5 - 2640 კვ.მ. კ-3= 0,5 - 2471,8 კვ.მ. წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად, კორექტირება ეხება I სექტორის F ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: N01.18.06.015.176; ფართობი: 400 კვ.მ.). ასევე, საპროექტო წინადადებით იზრდება N01.18.06.015.176 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი, რომელსაც უერთიანდება მის მომიჯნავედ არსებული მიწის ნაკვეთები N01.18.06.015.154 - 226 კვ.მ. და N01.18.06.015.210 - 123 კვ.მ. აღნიშნულ საკადასტრო ერთეულებზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით, ასევე, ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2). გაერთიანების შემდგომ F სექტორის ფართობი გახდა: 749 კვ.მ. განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის კორექტირებით მიერთებული მიწის ნაკვეთების არასრული სამშენებლო რესურსი გამოყენებულია F სექტორში განთავსებულ 2 სართულიან ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლზე ერთი სართულის დამატებით. კერძოდ, მიწის ნაკვეთებს: N01.18.06.015.154 - 226 კვ.მ. და N01.18.06.015.210 - 123 კვ.მ. (ჯამში 349 კვ.მ.) განაშენიანების ინტენსივობის (კ-2) კოეფიციენტის (კ-2=0,8) მიხედვით, სამშენებლო რესურსი გააჩნია 280 კვ.მ. ხოლო F სექტორში განთავსებულ საცხოვრებელ სახლს ემატება მხოლოდ 150 კვ.მ., კ-1 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი კი რჩება უცვლელი (რომელიც შეადგენს 150 კვ.მ.-ს). მიერთებული მიწის ნაკვეთების ტერიტორიაზე არ ხდება ახალი შენობა-ნაგებობის განთავსება, შესაბამისად, იგი სრულად დარჩება გამწვანებულ ტერიტორიად, ეზოდ, რის შესაბამისადაც იზრდება გამწვანების (კ-3) კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი 349 კვ.მ.-ით. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, კონკრეტულად F სექტორის კ-1 და კ-2 კოეფიციენტების მაჩვენებლები მცირდება. თუმცა, ვინაიდან არეალი გაიზარდა, არ იცვლება სრული განაშენიანების რეგულირების გეგმისთვის დადგენილი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები. საპროექტო პარამეტრები მთლიანი არეალისთვის ჯამურად: სზ-2 - 5 434 კვ.მ. კ-1= 0,3 - 1464 კვ.მ. კ-2= 0,5 - 2790 კვ.მ. კ-3= 0,5 - 2820,8 კვ.მ. წარმოდგენილი ცვლილების ხასიათიდან გამომდინარე, გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციულ წარმომადგენელში ჩართვა არ განხორციელებულა. საპროექტო წინადადებით, ტერიტორია ვითარდება მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დადგენილი ფუნქციური ზონის, საცხოვრებელი ზონა 2-ისა (სზ-2) და დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების უცვლელად. ამასთან, შემოთავაზებული ცვლილებები არ ახდენს უარყოფით ზეგავლენას დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილ და არსებულ განაშენიანებაზე. ყოვლივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი ცვლილებების განხორციელება და „ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის ქ. N72, N74-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.015.057; N01.18.06.015.153) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის



პროექტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 აპრილის N85 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის წარმოდგენილი ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის ქ. N72, N74-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.015.057; N01.18.06.015.153) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 აპრილის N85 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032104696-03 - 15.02.2021) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

5. „ქ. თბილისში, გლდანის საცხოვრებელ რაიონში, საზოგადოებრივი ცენტრის ტერიტორიაზე V და VI მიკრორაიონებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.10.007.001), მრავალფუნქციური კომპლექსის (სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, ავტოჰაუსი, სასტუმრო, რესტორანი) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ” ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 12 ივნისის №1205 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032103575-03 04.02.2021)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტაძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, გლდანის გეგმარებითი რაიონის საზოგადოებრივი ცენტრის ზონაში, ხიზანიშვილისა და ვეკუას ქუჩებს შორის. საკადასტრო კოდები: N01.11.10.007.038 (1133კვ.მ), N01.11.10.007.024 (1000კვ.მ.), N01.11.10.007.039 (1870კვ.მ), N01.11.10.007.031 (207კვ.მ), N01.11.10.007.029 (243კვ.მ), N01.11.10.007.035 (4094კვ.მ). საპროექტო ტერიტორიას სატრანსპორტო მისაწვდომობა აქვს გლდანის რაიონის ორ მთავარ სატრანსპორტო გზასთან. ტერიტორია განვითარებულია შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით და მოიცავს სავაჭრო ცენტრს (ფრესკო), მრავალფუნქციურ შენობას, რესტორანს, ავტოჰაუსს. ტერიტორია სამი მხრიდან შემოსაზღვრულია საზოგადოებრივი სივრცით (ტზ-1). ხოლო მიმდებარე ტერიტორია განაშენიანებულია მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობანაგებობებით. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1). განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ცვლილება ეხება მხოლოდ ერთ

საკადასტრო ერთეულს: N01.11.10.007.024. „ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ილ. ვეკუას ქ. N84-ში, ო.ხიზანიშვილის ქ. N57-ში, საზოგადოებრივი ცენტრის ტერიტორიაზე V და VI მიკრორაიონებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 8 ივლისის N181 განკარგულებით შეთანხმებულ კორექტირებულ პროექტში, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციად მითითებული იყო აირგასამართი სადგური, მოთხოვნილი ცვლილებით კი დაგეგმილია აირგასამართი სადგურის ნაცვლად დაფიქსირდეს ავტოსამრეცხაო, რაც შესაბამისობაშია აღნიშნული ნაკვეთის ფუნქციურ ზონასთან, სატრანსპორტო ზონა 2-თან (ტზ-2). საპროექტო კოეფიციენტები აღნიშნულ ნაკვეთზე: კ1 - კ2 - კ3 - მაქსიმალური სიმაღლე - 15მ. საპროექტო ზონირება - საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 (სსზ-3); სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2). ცვლილების ხასიათიდან გამომდინარე, გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა ადმინისტრაციულ წარმოებაში არ განხორციელებულა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისში, გლდანის საცხოვრებელ რაიონში, საზოგადოებრივი ცენტრის ტერიტორიაზე V და VI მიკრორაიონებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.10.007.001), მრავალფუნქციური კომპლექსის (სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, ავტოპაუსი, სასტუმრო, რესტორანი) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 12 ივნისის №1205 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

*ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სოხაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.*

სხდომის თავმჯდომარე

რევაზ სოხაძე

*რ. სოხაძე*